

ქალაქ ბათუმში, რუსთაველის

ქ.

N21-

ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.22.06.001 სასტუმროს მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციატივის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება.

დაინტერესებული პირი - შპს „ორიქს“

დაგეგმილი ცვლილების მიზანი:

ინიციატორის მიერ დასახელებული განვითარების მიზანია 8 სართულიანი სასტუმროს მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს საპროექტო კომპლექსის ვიზუალურ, მოცულობით,

არქიტექტურულ და ქალაქგეგმარებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოცემული ადგილის განვითარებას. რისთვისაც საჭიროა განაშენიანების ინტენსიობის კ2 კოეფიციენტის გადამეტება. დაინტერესებული პირი განმარტავს, რომ პროექტირების განხორციელების მთავარი მიზანი არის აღნიშნული კვარტალის არქიტექტურული იერსახის სრულყოფა და არსებული ამორტიზებული შენობის ნაცვლად ახალი ესთეტიკური ვიზუალის მქონე სასტუმროს მშენებლობა.